

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.	14
9. მოკლევადიანი სესხები	14
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
12. . სხვა შემოსავალი	15
13. კომერციული ხარჯები.	15
14. ადმინისტრაციული ხარჯები.	15
15. ფინანსური შემოსავალი.	16
16. ფინანსური დანახარჯები.	16
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	77,169	104,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	460,189	752,860
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	947,182	1,820,130
სულ მიმდინარე აქტივები		1,484,541	2,677,826
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,115,951	1,467,204
არამატერიალური აქტივები		4,691	4,691
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,120,642	1,471,895
სულ აქტივები		2,605,183	4,149,721
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	322,332	1,430,871
სავაჭრო ვალდებულებები	9	100,611	550,709
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		3,365	8,103
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	10	2,490	256,248
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		428,798	2,245,931
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	307,222	609,703
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		307,222	609,703
სულ ვალდებულებები		736,020	2,855,634
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		4,062,193	3,118,784
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(2,193,030)	(1,824,697)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,869,163	1,294,087
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,605,183	4,149,721

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ალექსანდრე ხარებავა

მთ. ბუღალტერი



გიორგი გოგოჭური

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	11	1,347,154
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,071,297)
საერთო მოგება		275,858
სხვა შემოსავალი	12	28,986
კომერციული დანახარჯები	13	(56,704)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(520,910)
დადებითი საკურსო სხვაობა		23,153
ფინანსური შემოსავალი	15	16,711
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(40,751)
ფინანსური დანახარჯები	16	(94,675)
მოგება დაბეგვრამდე		(368,333)
მიმდინარე წლის მოგება		(368,333)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ალექსანდრე ხარებავა

მთ. ბუღალტერი

გიორგი გოგოჭური

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	3,118,784	(1,824,697)	-	1,294,087
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	943,409			943,409
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(368,333)	-	(368,333)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	4,062,193	(2,193,030)	-	1,869,163

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე ხარებავა

მთ. ბუღალტერი _____ გიორგი გოგოჭური

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მარანული“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 07 ნოემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401976812, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელები 2018 წლის 4 მაისამდე იყვნენ:

გიორგი კილაძე (პ/ნ 01030009769) -33,34%;

მიხეილ ჯაფარიძე (პ/ნ 01024001505)-33,33%;

როენა გოგნაძე (პ/ნ 18001049322)-33,33%.

2018 წლის 4 მაისიდან 100% წილის მფლობელია:

შპს „მელვინეობა ხარება“ (ს/კ 404427928)-100%.

კომპანიის დირექტორი:

2018 წლის 16 მაისამდე - კობა კვეტენაძე (პ/ნ 18001002798);

2018 წლის 16 მაისიდან - 2019 წლის 21 მარტამდე - თორნიკე ჩახვაძე (61001034999);

2019 წლის 21 მარტიდან - ალექსანდრე ხარებავა (პ/ნ 01024020426).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიას აქვს საკუთარი ღვინის ქარხანა გურჯაანის რაიონში სადაც ახდენს ყურძნის მიღებას, დამუშავებას და ბოთლებში ჩამოსხმას.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა - 25 წელი;

მანქანა დნადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	707	19,288
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	76,462	4,156
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	-	3,005
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	-	78,387
სულ	77,169	104,837

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	347,657	748,942
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	171	0
კაპიტალის შევს. პარტნ. გრძელვ. მოთხ. მიმდ. ნაწილი	107,600	-
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,007	3,164
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	656	656
სხვა მიმდინარე აქტივები	97	97
სულ	460,189	752,860

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2018	2017
საქონელი	363	-
ნედლეული	774,365	1,696,341
მზა პროდუქცია	161,685	112,994
საწვავ-საცხები მასალები	10,769	10,794
სულ	947,182	1,820,130

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწის ნაკვეთები	ექსპლუატაციაში არ შესული ძირ.საშუალებები	შენობები	ბანკანა-დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ავტო და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	საგზაო ტექნიკა	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	50,592	27,744	882,261	939,253	24,355	547,156	15,564	82,585	2,569,511
შემოსვლა	-	-	-	6,016	423	-	5,249	-	11,688
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(45,387)	(45,387)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	50,592	27,744	882,261	945,269	24,778	547,156	20,813	37,198	2,535,811
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	-	(97,049)	(579,500)	(12,557)	(372,058)	(3,488)	(37,656)	(1,102,308)
ცვეთის ხარჯი	-	-	(35,290)	(183,071)	(4,913)	(109,431)	(230)	(7,440)	(340,376)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	22,823	22,823
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(132,339)	(762,571)	(17,471)	(481,489)	(3,718)	(22,273)	(1,419,860)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	50,592	27,744	785,212	359,754	11,798	175,099	12,076	44,929	1,467,204
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	50,592	27,744	749,922	182,698	7,307	65,667	17,095	14,925	1,115,951

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2018	2017
მიწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	95,594	545,961
მიღებული ავანსები	5,017	4,748
სულ	100,611	550,709

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

9. მოკლევადიანი სესხები

2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
					31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს ბანკი ქართუ	12%	ლარი	12.09.2017		-	-	300,000	
სს ბანკი ქართუ	12%	ლარი	21.09.2017		-		600,000	
სს ბანკი ქართუ	1%	დოლარი	18.09.2013	18.09.2020	322,332	307,222	530,871	609,703
სულ					322,332	307,222	1,430,871	609,703

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2018
საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე	1,197,261
საქონლის რეალიზაცია ექსპორტზე	85,255
ღვინის ჩამოსხმის მომსახურება	64,638
სულ	1,347,154

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

12. სხვა შემოსავალი

კომპანიის 2018 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2018
საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურება	6,160
ძირითადი საშეუალებებიდან მიღებული ნეტო შემოს.	22,826
სულ	28,986

13. კომერციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2018
რეკლამის ხარჯები	6,243
საკომისიო გასამრჯელო და შრომის ანაზღაურება (მიწოდებაზე)	1,250
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	188
მიწოდების სხვა ხარჯები	49,024
სულ	56,704

14. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	77,599
იჯარა	6,102
საკანცელარიო ხარჯი	17
კომუნიკაციის ხარჯები	2,762
რემონტი	1,866
ელ ენერგიის ხარჯი	40,749
სამეურნეო ხარჯი	605
დასუფთავების ხარჯი	1,236
ბუღალტრული მომსახურება და სხვა საკონსულტაციო ხარჯები	15,179
ძირითადი საშუალების ცვეთა	340,376
უიმედო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	120
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	16,570
საბანკო ხარჯები	3,320
მივლინების ხარჯი	2,349
საწვავის ხარჯი	135
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	891
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11,034
სულ	520,910

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

15. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2018
დამრგვალების ცდომილება	(5)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(16,706)
სულ	(16,711)

16. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	91,178
საგადასახადო საურავები	1,551
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,946
სულ	94,675

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(1,980)	(1,080)
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(7,697)	(7,697)
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	897,879	32,403
სულ	888,202	23,626

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(14,072)	-
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	207,299	11,021
სულ	193,227	11,021

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 07 სექტემბერს.